



# არჩევნების შემდგომ პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2024 წლის 26 ოქტომბრიდან  
26 ნოემბრამდე პერიოდი



არჩევნების შემდგომ პერიოდში  
რელიგიის თავისუფლების,  
თანასწორობის და სეკულარობის  
კუთხით არსებული გარემო

2024 წლის 26 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე პერიოდი

მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ (TDI)

[www.tdi.ge](http://www.tdi.ge)



# შინაარსი

ძირითადი მიგნებები	4
„ქართული ოცნების“ მიერ მართლმადიდებელი ეკლესიითა და რელიგიით მანიპულირება	6
სახელმწიფოს მიერ საპატრიარქოსთვის სახელმწიფო ქონების გადაცემა	12
პატრიარქისა და მართლმადიდებელი სასულიერო პირების მიერ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა	13
მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის კრიტიკული გამოხმაურება არჩევნების სავარაუდო გაყალბებაზე	16
მართლმადიდებელი ეკლესიით სპეკულაცია პროპაგანდისტულ, სახელისუფლებო მედიაში	17
ქსენოფობია ეთნიკური უმცირესობების მიმართ	18

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) აგრძელებს დაკვირვებას არჩევნების შემდგომ პერიოდში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებულ გარემოზე. მონიტორინგი მოიცავს საჯარო უწყებების, პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკოსების და საჯარო პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებსა და აქტივობებს.

საქართველოში საპარლამენტო არჩევნები 2024 წლის 26 ოქტომბერს გაიმართა.

წინამდებარე მიმოხილვა ასახავს **2024 წლის 26 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე პერიოდს**.

ასევე შეგიძლიათ, იხილოთ [25 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე](#) და [25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე](#) წინასაარჩევნო პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით მონიტორინგის ანგარიშები.



ანგარიში მოამზადა ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა (TDI), USAID-ის პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNA Georgia) მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

ანგარიშში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის TDI-ს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

## ძირითადი მიგნებები

მიმდინარე მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დღეს და შემდგომ პერიოდში პარტია „ქართული ოცნება“ მიმართავდა და მიმართავს ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო, ანტიდემოკრატიულ და ანტიდასავლურ პროპაგანდას, რომელშიც ცენტრალურ საკითხებად, წინასაარჩევნო პერიოდის მსგავსად, მართლმადიდებელი ეკლესიის, „ღირებულებების“ და „ტრადიციების“ დაცვა არის წამოწეული. მათი განცხადებებით, დასავლეთი და ლიბერალური ღირებულებები საფრთხეს უქმნის ქართულ იდენტობას, ხოლო „ქართული ოცნება“ ამ ღირებულებებს, ეკლესიას და ქრისტიანობას იცავს.

**მონიტორინგის პერიოდში „ქართული ოცნების“ ძირითადი ნარატივები მართლმადიდებელი ეკლესიისა და სარწმუნოების კონტექსტში:**

**სარწმუნოებასა და ტრადიციულ ღირებულებებთან დაკავშირებული გზავნილები:**

- 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები იყო არჩევანი უღმერთობასა და სულიერებას, ქრისტიანობასა და ურწმუნოებას, უცხო იდენტობასა და ტრადიციულ ფასეულობებს შორის;
- საპარლამენტო არჩევნების შედეგები ასახავს ეროვნული ხელისუფლების გამარჯვებას, რადგან ხელისუფლება დგას ღმერთისა და სარწმუნოების მხარეს;
- „ქართული ოცნების“ მიზანი არის სარწმუნოებისა და ტრადიციული ფასეულობების დაცვა;

**ანტიოპოზიციური გზავნილები:**

- ოპოზიცია ებრძვის ტრადიციებს და მართლმადიდებელ ეკლესიას, ამიტომაც დამარცხდა;

**ღია ანტიდასავლური გზავნილები:**

- დასავლეთი გვაიძულებს, უარი ვთქვათ სარწმუნოებასა და ტრადიციებზე;
- დასავლეთი აფინანსებს რადიკალიზმს, მართლმადიდებელი ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ ბრძოლას და ლგბტ პროპაგანდას.

**საგარეო ურთიერთობები:**

- აშშ-ს პრეზიდენტის, დონალდ ტრამპისა და „ქართული ოცნების“ ღირებულებები თანხვედრაშია. ამერიკელებმა და ქართველებმა ხმა მისცეს სარწმუნოებას.

მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგები არაა ლეგიტიმურად და კონსტიტუციურად ცნობილი არც ქვეყნის შიგნით, და არც დემოკრატიული ქვეყნებისა და დასავლელი პარტნიორების მიერ, 16 ნოემბერს, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში „დიდი უმრავლესობით გამარჯვება“ მიულოცა. თავის მხრივ, საქართველოს საპატრიარქოს მილოცვა „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნების შედეგების ლეგიტიმაციის წყაროდ გამოიყენა. 25 ნოემბერს, არალეგიტიმური, ერთპარტიული პარლამენტის პირველ სხდომას ესწრებოდნენ საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე, დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი და პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე.

**საპატრიარქოს წარმომადგენელი მართლმადიდებელი სასულიერო პირების ძირითადი პროსახელისუფლებო და ანტიდასავლური ნარატივები არჩევნების დღეს და შემდგომ პერიოდში:**

- *საპარლამენტო არჩევნები და მისი შედეგები: ქრისტიანული ღირებულებებისა და ეკლესიის გადარჩენა;*
- *საპარლამენტო არჩევნები: არჩევანი ღმერთსა და დასავლეთს/დასავლელ პოლიტიკოსებს შორის;*
- *ევროპა თავის დღის წესრიგს გვახვევს თავს;*
- *არჩევნების შედეგების კრიტიკით, დასავლეთი ცდილობს საქართველოში არეულობის შემოტანას;*
- *ქართველმა ხალხმა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხარდაჭერით, უფლის გზა აირჩია.*

მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების მცირე ნაწილმა გაავრცელა კრიტიკული განცხადებები საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო მასობრივ გაყალბებასა და შედეგებზე.

არჩევნების სავარაუდო გაყალბების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და შედეგების გამოცხადების შემდეგ, სოციალურ ქსელებში გახშირდა ქსენოფობიური კომენტარები სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეების წინააღმდეგ.

# „ქართული ოცნების“ მიერ მართლმადიდებელი ეკლესიითა და რელიგიით მანიპულირება

26 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნების დღეს და არჩევნების შემდგომ პერიოდში „ქართული ოცნების“ ლიდერები ანტიდასავლური გზავნილებისთვის კვლავ აქტიურად იყენებდნენ ეკლესიის სახელს, ქრისტიანობის, ეროვნული იდენტობის, „ოჯახური ღირებულებებისა“ და „ტრადიციების“ ნარატივებს. მათ განცხადებებში პოლიტიკური ოპოზიცია წარმოჩნდება, როგორც ეროვნულ ღირებულებებთან მეზრძოლი, ხოლო „ქართული ოცნების“ ხელისუფლება - ამ ფასეულობების მცველი, დასავლეთი კი აფინანსებს რადიკალიზს, მართლმადიდებელი ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ ბრძოლას. „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნების შედეგებს ქართველი ხალხის, „ეროვნული ხელისუფლებისა“ და „ქრისტიანული ღირებულებების“ გამარჯვებას უწოდებს.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, 16 ნოემბერს გამართულ სხდომაზე 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო [შემაჯამებელი ოქმი](#) დაამტკიცა. იმავე დღესვე, საქართველოს საპატრიარქოს [ოფიციალურ განცხადებაში](#) კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში დიდი უმრავლესობით „გამარჯვება“ მიულოცა. საპატრიარქოს მიერ გაცხადებული ოფიციალური მხარდაჭერა „ქართულმა ოცნებამ“ ანტიდასავლურ, ანტიოპოზიციურ პროპაგანდისტულ გზავნილებთან ერთად, არჩევნების „სახალხო ლეგიტიმაციის“ წყაროდ გამოიყენა.

*პატრიარქის მხარდაჭერა - „სახალხო ლეგიტიმაციის“ წყარო „ქართული ოცნებისთვის“*

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა [ირაკლი კობახიძემ](#), 17 ნოემბერს, პარტიის სახელით, პატრიარქს მადლობა გადაუხადა მილოცვისთვის:

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც არსებობს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, რასაც ძალიან ვუფრთხილდებით. თითოეული გზავნილი, რომელიც იყო წარმოდგენილი განცხადებაში, ჩვენთვის არის ძალიან ყურადსაღები და ბუნებრივია, ვიმოქმედებთ შესაბამისად“.

[მამუკა მდინარაძე](#), საპარლამენტო უმრავლესობის, ფრაქცია „ქართული ოცნების“ [თავმჯდომარე](#), 17 ნოემბერი: „არჩევნებს, რომელიც ჩატარდა საქართველოში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ ეუთო/ოდირის მხრიდან და დამკვირვებლების მხრიდან კი არა, რომლებმაც პოზიციური შეფასებები გასცეს, არამედ, სახალხო ლეგიტიმაცია აქვს და ამ სახალხო ლეგიტიმაციის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს საპატრიარქოს და პირადად პატრიარქის ასეთი პოზიცია. [...] პირდაპირ ვიტყვი - როგორც ცოცხალი წმინდანის და აღარასდროს უნდა მოგვერიდოს ამის თქმა და

მისი პოზიცია ბუნებრივია, იყო ერთი-ორად მნიშვნელოვანი, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენის.“

**გიორგი ვოლსკი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, 17 ნოემბერი:** „ეს არ არის ჩვეულებრივი მილოცვა, ეს არის კურთხევა იმისთვის, რომ ოპოზიციამ და უმრავლესობამ გადახედოს არსებულ ვითარებას, და ქვეყნის საკეთილდღეოდ გადადგას ნაბიჯები. დაპირისპირების ეს ხარისხი რასაკვირველია ყველას აღელვებს და პატრიარქისთვისაც საგანგებო თემაა. მიუხედავად ამ მოწოდებისა, კონსტრუქციულ ქმედებებს ჩვენ იმ ადამიანებისგან არ ველოდებით, რომლებიც ასეთი გააფთრებული შეტევით ხასიათდებიან ქართული ეკლესიისადმი“.

**გურამ მაჭარაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, 17 ნოემბერი:** „ჩვენ ვნახეთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის განცხადება, სადაც „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება მიულოცა და ამავდროულად ხელისუფლებას და ოპოზიციას უსურვა, რომ ერთობლივად მიიღონ გადაწყვეტილებები ქვეყნის საკეთილდღეოდ. როგორ შეიძლება რომელიმე ჭკუათმყოფელ ადამიანს ერთობის და სამშობლოს ერთიანი სიყვარულის წინააღმდეგ რაიმე პრეტენზია ჰქონდეს, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობა“ ორგანულად ვერ იტანს ვერაფერ ქართულს“.

**ლევან მაჭავარიანი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, 17 ნოემბერი:** „გუშინ ვიხილეთ ჩვენი უწმინდესის მილოცვა. ეს ძალიან სასიამოვნოა. უწმინდესმა მოუწოდა ოპოზიციურ პარტიებს, რომ იქნებ რამენაირად მოვახერხოთ თანამშრომლობა საქართველოსთვის. ძალიან მეპარება ეჭვი, რომ მათ [ოპოზიციამ] პატრიარქი გაითვალისწინონ. წლების განმავლობაში მათი აბსოლუტური უმრავლესობისგან ვისმენთ პატრიარქის, სიწმინდეების, ეკლესიის ლანძღვა-გინებას, შესაბამისად, მათთვის არც პატრიარქია ავტორიტეტი“.



## ძირითადი ნარატივები

*2024 წლის საპარლამენტო არჩევნები: არჩევანი უღმერთობასა და სულიერებას, ქრისტიანობასა და ურწმუნობას, უცხო იდენტობასა და ტრადიციულ ფასეულობებს შორის*

შალვა პაპუაშვილი, არალეგიტიმური<sup>1</sup> (2024 წლის მოწვევის) პარლამენტის თავმჯდომარე, 25 ნოემბერი, არალეგიტიმური პარლამენტის პირველი სხდომა: „26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებიც დე-ფაქტო რეფერენდუმის სახით შედგა. ქართველი ხალხი დადგა ცალსახა არჩევანის წინაშე, [...], აერჩია უცხო იდენტობა თუ აერჩია ტრადიციული ფასეულობები...”

შალვა პაპუაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, 26 ოქტომბერი, არჩევნების დღეს მედიასთან გაკეთებული კომენტარი: “დღეს არის არჩევანი ბოროტებასა და სიკეთეს შორის, დღეს არის არჩევანი უღმერთობასა და სულიერებას შორის...”

თეა წულუკიანი, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის მეექვსე ნომერი, კულტურისა და სპორტის ყოფილი მინისტრი, 29 ოქტომბერი: „(მაინც) დებო და (მაინც) მმეზო, პოლიტიკას როდის ისწავლით? თავი რომ დავანებოთ ერთი წუთით დავას დიქტომიების სისწორეზე; ომსა და მშვიდობას, ქრისტიანობასა და ურწმუნობას შორის არჩევანის გაკეთებისას რომ 54-11 სხვაობა მიიღეთ (აღიარებთ რეალობას, სად წახვალთ?!)...”

---

<sup>1</sup>2024 წლის 25 ნოემბერს, ლეგიტიმურობასთან დაკავშირებული კითხვების მიუხედავად, “ქართული ოცნების” უმრავლესობამ ახალი პარლამენტის 150-ვე დეპუტატის უფლებამოსილება [ცნო](#). 28 ნოემბერს კი “ქართული ოცნების” პარლამენტმა საქართველოს მთავრობას, ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით, 84 ხმით ერთხმად, [ნდობა](#) გამოუცხადა. პარლამენტის რეგლამენტის 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის თაობაზე პარლამენტის დადგენილებაში არ შეიტანება იმ პირის გვარი, რომლის პარლამენტის წევრად არჩევის კანონიერება გასაჩივრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ან საერთო სასამართლოში. ვინაიდან 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად არჩეული ყველა პირის პარლამენტის წევრად არჩევის კანონიერება საქართველოს პრეზიდენტის მიერ გასაჩივრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელსაც საკითხი ჯერ არ გადაუწყვეტია, პარლამენტი უფლებამოსილი არ იყო, ეცნო არჩევნების შედეგების მიხედვით არჩეული პირების სადეპუტატო უფლებამოსილება. ამდენად, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით 25 ნოემბერს პარლამენტის წევრების უფლებამოსილების ცნობა და 28 ნოემბერს მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება იყო უკანონო. რადგან პარლამენტის უფლებამოსილების ცნობა უკანონო იყო, კონსტიტუციის 38-ე მუხლის გათვალისწინებით, პარლამენტი და მთავრობა არაუფლებამოსილი და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურია.

*საპარლამენტო არჩევნების შედეგები: ეროვნული ხელისუფლების გამარჯვება, რადგან „ქართული ოცნება“ დგას ღმერთის მხარეს*

შალვა პაპუაშვილი, საქართველოს არალეგიტიმური პარლამენტის თავმჯდომარე, 25 ნოემბერი: „ეს იყო და არის ბრძოლა დავითისა და გოლიათისა, სადაც გამარჯვდა სიმართლემ, გონიერებამ და სამშობლოს სიყვარულმა. რადგანაც ჩვენ ვდგავართ ღმერთის, სამშობლოს და ადამიანის მხარეს“.

მამუკა მდინარაძე, საპარლამენტო უმრავლესობის, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, 26 ოქტომბერი, არჩევნების დღეს, ქართული ოცნების საღამოს შეკრებაზე ამომრჩევლისადმი მიმართვა: „დღეს დაიწერა ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი, სადაც ქართველებმა ვთქვით, ტრადიცია უნდა იყოს, უნდა ვაქციოთ ტრადიციად, რომ საქართველოში გარდა ეროვნული ხელისუფლებისა, ვერასდროს ვერავინ გამარჯვებს, ამიტომ ჩვენს ქვეყანას, ეროვნულ იდენტობას, ქართულს ყველაფერს გაუმარჯოს...“

*„ქართული ოცნების“ მიზანი: სარწმუნოებისა და ტრადიციული ფასეულობების დაცვა*

შალვა პაპუაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, 1 ნოემბერი: „მამული, ენა, სარწმუნოება - ეს არის გეგმაც და მიზანიც!“ - სოციალურ ქსელში ამ ტექსტით პაპუაშვილი ოპოზიციის ერთიან განცხადებას გამოეხმაურა, რომელიც მათ სამოქმედო გეგმას ეხებოდა.

ირაკლი კობახიძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, 5 ნოემბერი: „ამ პროპაგანდის ერთადერთი მთავარი სამიზნე არის ქრისტიანობა, როგორც ასეთი. ჩვენ გვინდა, დავიცვათ ტრადიციული ფასეულობები, არასრულწლოვანთა ინტერესები, ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი ტრადიციული რელიგია და ამას ემსახურება რეალურად ის კანონი [„არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვისა და ოჯახური ფასეულობების დაცვის შესახებ“], რომელსაც ვიღებთ.“

*ოპოზიცია ებრძვის ტრადიციებს და ეკლესიას, ამიტომაც დამარცხდა*

შალვა პაპუაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, 7 ნოემბერი: „ჩვენ ვხედავდით ბოლო პერიოდში როგორი მცდელობა არის ოპოზიციის მხრიდან, რომ ყველაფერს ქართულს, ტრადიციულს, ისტორიულს მიაყენონ შეურაცხყოფა, დააკნინონ, ამოშალონ, ამოშალონ მეხსიერებიდან და ჩაანაცვლონ ის უცხო ღირებულებებით, უცხო ქვეყნების ისტორიული პერსონაჟებით და ზოგადად უცხო ქვეყნების ისტორიებით ჩაგვინაცვლონ ქართული ისტორია და ჩვენი გმირები. ჩვენ ვნახეთ, თუ რა პასუხი გასცა ამ ყველაფერს 26 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა, მაშინ, როდესაც ყველას მათ, ვინც შეურაცხყოფას აყენებდა ჩვენს გმირ მეფეებს,

ტრადიციებს, რელიგიას, საკადრისი ადგილი მიუჩინა იქ, სადაც უნდა იყვნენ ისეთი ძალები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ჩვენს საერთო სამშობლოსთან.“

**შალვა პაპუაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, 8 ნოემბერი,** ევროკავშირის ელჩთან ოპოზიციის შეხვედრაზე: „როგორ შეიძლება ქართველმა ხალხმა ლეგიტიმაცია მისცეს იმ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც ყველაფერ ქართულს უარყოფს, რომელიც ჩვენს ისტორიას ხაზავს, რომელიც ჩვენს ეკლესიას ებრძვის, რომლისთვისაც ქართული ინტერესი არაფერი არ არის, შეუძლიათ დღესვე სხვა ქვეყნის ინტერესზე ისე გაცვლიან, როგორც არაფერი. მათთვის საქართველო არ არის ფასეულობა.“

**ლევან კოჭლოშვილი, პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, 18 ნოემბერი:** „ერთი რამ ცხადია, რომ რადიკალური ოპოზიციის სალოცავია ბრიუსელი, ქართველი ხალხის უმრავლესობის რჩეული ხელისუფლებისთვის კი სალოცავია ქრისტეს ეკლესია. მათი ზნეობრივი სახეა რამდენჯერმე გათხოვილი კაცი მიხეილ როთი, ჩვენი სულიერი წინამძღოლი კი საქართველოს თვითმყოფადობის გარანტი, 91 წლის ბრძენი პატრიარქია, რომელსაც უსამშობლო აგენტები ქვეყნის მთავარ მტრად მიიჩნევენ“

### ***დასავლეთი გვაიძულებს, უარი ვთქვათ სარწმუნოებასა და ტრადიციებზე***

**სოზარ სუბარე, პარტია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე, 8 ნოემბერი, „იმედი LIVE“:** “ის დინება, ის მეინსტრიმი, რის მიყოლასაც დასავლელი ლიდერები გვაიძულებენ, არის დაპირისპირება კაცობრიობის საუკუნოვან მონაპოვართან. გვაიძულებენ, უარი ვთქვათ ჩვენს ეროვნულ იდენტობაზე, ტრადიციულ ღირებულებებზე, სარწმუნოებაზე. სწორედ ამიტომ მოითხოვენ ჩვენგან ასე დაჟინებით, რომ გავაუქმოთ ჩვენს მიერვე მიღებული კანონი „არასრულწლოვანთა დაცვისა და ოჯახური ღირებულებების შესახებ.“

### ***დასავლეთი აფინანსებს რადიკალიზმს, ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ ბრძოლას და ლგბტ პროპაგანდას***

**კახა კალაძე, ქალაქ თბილისის მერი, 19 ნოემბერი:** „გარედან ე.წ. მეგობრები ყველაფერს აკეთებენ, რომ დააფინანსონ რადიკალიზმი, რევოლუციური სცენარები, პოლარიზება, ადამიანების დაპირისპირება. ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა, პატრიარქის წინააღმდეგ ბრძოლა.“

**თამარ ჩიბურდანიძე, პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, 8 ნოემბერი:** „როდესაც ღიად აცხადებ, რომ ილიას გზას მიუყვები და ამავდროულად ქვეყნის წინააღმდეგ უცხოური ფულებით იბრძვი, ეს არ არის ილიას გზა! როდესაც ლგბტ პროპაგანდას ეწევი და ებრძვი ეკლესიას, სარწმუნოებას, არც ეს არის ილიას გზა!“

**გზავნილი აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებზე: დონალდ ტრამპისა და „ქართული ოცნების“ ღირებულებები თანხვედრაშია, ამერიკელებმა და ქართველებმა ხმა მისცეს სარწმუნოებას:**

**ლევან მაჭავარიანი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, 7 ნოემბერი:** „დონალდ ტრამპის შემთხვევაში ეს ყველაფერი უფრო მარტივად შეიძლება გამოვიდეს, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი ღირებულებები სრულ თანხვედრაში არის. ამ შემთხვევაში ამერიკელმა ხალხმა, ისევე როგორც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა მისცა მშვიდობას, ხმა მისცა ტრადიციულ ღირებულებებს, ხმა მისცეს სარწმუნოებას, კულტურას, იდენტობას და ა.შ. შესაბამისად, ის ღირებულებები, რაზეც დონალდ ტრამპი საუბრობს სრულ თანხვედრაშია „ქართული ოცნების“ ღირებულებებთან და ამ ნაწილში, რა თქმა უნდა უფრო მოხარულები ვართ.“

**ოპოზიციური სპექტრიდან, პატრიარქის მილოცვასთან დაკავშირებით 17 ნოემბერს კომენტარი გააკეთა ოპოზიციური პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრმა თეონა აქუბარდიამ. მან ხაზი გაუსვა პატრიარქის როლს სულიერების კუთხით და ამავე დროს, ეკლესიის ჩაურევლობას საერო საქმიანობაში.**

*„რაც შეეხება პატრიარქს, მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქს აქვს მნიშვნელოვანი როლი, ადგილი და პატივისცემა ჩვენი ქვეყნის სულიერების კუთხით, რა თქმა უნდა, არსებობს კონკორდატი, რაც ნიშნავს, რომ ეკლესია არ ერევა საერო საქმეებში. პატრიარქის სურვილი, რომ მშვიდობა იყოს, ყველა ვიზიარებთ. ამ ვითარებაში, რთულად წარმოსადგენია მშვიდობა, როდესაც ხდება ძალადობა, ახალგაზრდების წინააღმდეგ პოლიციის ძალის გამოყენება, პროტესტის უფლებაში ჩარევა, არჩევნების თავისუფლება მიტაცებული აქვს ივანიშვილს.“*

# სახელმწიფოს მიერ საპატრიარქოსთვის სახელმწიფო ქონების გადაცემა

საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში, მართლმადიდებელი ეკლესიის პოპულისტურ-პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოყენების პარალელურად, გაგრძელდა ხელისუფლების მიერ საპატრიარქოსთვის ქონების გადაცემა. კერძოდ,

საქართველოს მთავრობის [11 ნოემბრის](#) განკარგულებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს საპატრიარქოს 15 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადასცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ ოჯიოში მდებარე 17,370 კვ/მ და 11,081 კვ/მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

საქართველოს მთავრობის [18 ნოემბრის](#) განკარგულებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ საპატრიარქოს პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 ლარად საკუთრებაში გადასცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ოფშკვითში მდებარე 318 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობა.

საქართველოს მთავრობის [22 ნოემბრის](#) განკარგულებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ საპატრიარქოს პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 ლარად საკუთრებაში გადასცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, მარნეულის მუნიციპალიტეტში, იალღუჯაში მდებარე 10,000 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

# პატრიარქისა და მართლმადიდებელი სასულიერო პირების მიერ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა

26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს მხოლოდ „ქართული ოცნება“ აღიარებს, ბარიერგადალახული ოპოზიცია და საქართველოს პრეზიდენტი კი არჩევნებს [გაყალბებულს](#) უწოდებენ. საერთაშორისო პარტნიორები ხელისუფლებას არჩევნების სადავო შედეგების [ობიექტური გამოძიებისკენ](#) მოუწოდებენ. საარჩევნო ადმინისტრაციამ და სასამართლომ კი ქართული [სადამკვირვებლო მისიების](#) მიერ დაწერილი საჩივრების უდიდესი ნაწილი არ დააკმაყოფილა. ამ ფონზე, „ქართულ ოცნებას“, 26 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნები არ არის ლეგიტიმურად ცნობილი არც ადგილობრივ, და არც საერთაშორისო დონეზე.

## *საპატრიარქოს მიერ არჩევნების შედეგების ლეგიტიმაცია და „ქართული ოცნების“ „გამარჯვების“ აღიარება*

მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგები არაა ლეგიტიმურად და კონსტიტუციურად ცნობილი არც ქვეყნის შიგნით, და არც დემოკრატიული ქვეყნებისა და



დასავლელი პარტნიორების მიერ, 16 ნოემბერს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შემდეგ, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში დიდი უმრავლესობით [გამარჯვება მიულოცა](#):

„დასრულდა ცესკოს მიერ არჩევნების შედეგების გამოვლენის პროცესი, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა „ქართული ოცნების“ ხმების დიდი უმრავლესობით გამარჯვება. გულითადად ვულოცავთ მათ ამ წარმატებას. [...] ყველაფერი ამქვეყნად ღვთის ნებითაა. მთავარია ჩვენსა და უფალს შორის სინერგია შედგეს“ - აღნიშნა პატრიარქმა.

21 ნოემბერს, [ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტი, საბა გიგიბერია](#) ქადაგებისას გამოეხმაურა კათოლიკოს-პატრიარქის მილოცვას. მან აღნიშნა, რომ არ არის აუცილებელი არჩევნების შედეგების საერთაშორისო დონეზე აღიარება.

„რამდენიმე დღის წინ პატრიარქმა დალოცა ჩვენი ქვეყანა, დალოცა ხელისუფლება და ბრძანა, რომ ეს არჩევნები ჩატარდა და უნდა მივიღოთ ის შედეგები, რომელიც რეალურად დადგა. [...] ერთი უბრალო, მარტივი მიზეზის გამო - თუ გვიყვარს ქვეყანა, მისთვის უნდა გვინდოდეს მშვიდობა და განვითარება. პატრიარქზე მეტი ვინ უნდა იყოს, ვინც ასე ვთქვათ, ლეგიტიმაცია

უნდა გვითხრას ამ მოვლენების. აუცილებელია მაინც და მაინც ამერიკიდან, ევროპიდან, რუსეთიდან, ჩინეთიდან, რა ვიცი, საიდან უნდა იყოს კიდევ, რომ სხვა ქვეყნებიდან გვითხრან, თქვენ კარგი ხალხი ხართ, კარგად ჩაატარეთ ყველაფერი და ახლა გააგრძელეთ მშვიდობიანი ცხოვრება?!“



„ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნების დღეს და შემდგომ პერიოდში მართლმადიდებელი სასულიერო პირების დიდი ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობდა. ისინი „ქართული ოცნების“ „გამარჯვებას“ ეკლესიის დაცვას, ქრისტიანული ღირებულებებისა და ტრადიციების შენარჩუნებას უკავშირებდნენ. პოლიტიკური ოპოზიცია და დასავლეთი კი მათ ნარატივებში წარმოჩენილი იყო როგორც ამ ღირებულებებთან მეტროპოლი კოლექტიური ძალა.

*ფოტო: ფორმულა*

25 ნოემბერს, არალეგიტიმური, ერთპარტიული პარლამენტის პირველ სხდომას ესწრებოდნენ საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე, დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი და პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე.

## ძირითადი ნარატივები

***საპარლამენტო არჩევნები და მისი შედეგები: ქრისტიანული ღირებულებებისა და ეკლესიის გადარჩენა***

**შიო მუჯირი, საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი, 26 ოქტომბერი, კომენტარი საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით:** „მინდა, დავლოცო ჩვენი ქვეყანა - საქართველო და ვუსურვო მშვიდობა, კეთილდღეობა, განვითარება და საღვთო გზით სიარული, იმიტომ რომ დღეს ჩვენ ვხედავთ, მსოფლიოში ისე ვითარდება მოვლენები, იმისთვის, რომ ერმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მომავალ მსოფლიო მოწყობაში, წესრიგში, აუცილებელია მთავარი ღირებულებების გადარჩენა და შენარჩუნება. ეს არის ჩვენი ქრისტიანული ღირებულებები და ეკლესია. მაქვს იმედი, რომ დღევანდელი დღე, დღევანდელი არჩევნები იქნება საწინდარი და წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი ამ მიზნისკენ.“

სტეფანე კალაიჯიშვილი, ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტი, 27 ოქტომბერი: „ქრისტიანობამ თავისი ადგილი საქართველოში შეინარჩუნა. დღეს არასწორი სიტუაციაა ნათქვამი, თითქოს ვირჩევდით დასავლეთსა და რუსეთს შორის. ეს არის სიცრუე. არაფერი დასავლეთსა და რუსეთს შორის არ ვირჩევდით. აქ იყო არჩევანი სოდომისა და ქრისტიანობას შორის. და ეს არჩევანი ქრისტიანობის სასარგებლოდ დასრულდა.“

### ***ბიძინა ივანიშვილის დალოცვა***

შიო მუჯირი, საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი, 23 ნოემბერი: „ღმერთმა დალოცოს ყველა ადამიანი, ვინც მონაწილეობა მიიღო და შემოწირულება გაიღო ამ [სამების საკათედრო ტაძარი] ტაძრის მშენებლობაში. მიიღო, განსაკუთრებით გამოვეყო ბატონი ბიძინა ივანიშვილის წვლილი, რომლის მონაწილეობამაც, რომლის შემოწირულებამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ამ ტაძრის მშენებლობის საქმეში.“

### ***საპარლამენტო არჩევნები: არჩევანი ღმერთსა და დასავლეთსა და დასავლელ პოლიტიკოსებს შორის***

იაკობ იაკობაშვილი, ბოდბელი მთავარეპისკოპოსი, 9 ნოემბერი: „შეიძლება ბევრმა ვინც წავიდა და ოპოზიციის მხარეს იყო ან ხელისუფლებაზე იყო გაბრაზებული ან ნაციონალური მოძრაობის დიდი თავყვანისმცემლები იყვნენ ანუ ხო, ფაქტიურად თუ აქამდე არ იცოდნენ რაში ქონდათ თავი გაყოფილი, აქ იყო ან ღმერთი უნდა აგერჩია ან ვიოლა ფონ კრამონი, ან ღმერთი უნდა აგერჩია ან ბატონი შოლცი, ან ღმერთი უნდა აგერჩია ან ბატონი მაკრონი“... ..“აქეთ რა მოხდა, იმდენად შეიძლება ოცნების მხარდამჭერები არ იყვნენ, ხალხმა შეხედა: ღმერთის წინააღმდეგ უნდა წასულიყავი, სინდისის, ვინც შეიგნო რა ხდებოდა. ვინც ვერ შეიგნო და ცხელი გონებით აკეთებდა, მოისმინონ და თუ მართალი არა ვართ, თავიანთ სინდისებს კითხონ.“

### ***ევროპა თავის დღის წესრიგს გვახვევს თავს***

იაკობ იაკობაშვილი, ბოდბელი მთავარეპისკოპოსი, 23 ნოემბერი: „გვეუბნებიან ხოლმე, - ევროკავშირში შემოსვლა არც იფიქროთ, თუ ოჯახური ფასეულობების კანონს არ გააუქმებთო. არჩევანს მამლევენ, საკითხი დამიყენეს, როგორც წმინდა გიორგი დაუყენეს, ვითომ კარგი ცხოვრებისთვის ვიზრუნო, უნდა შეგიყვანონ სადღაც და ისევ მათ ჭკუაზე უნდა იარო.“



*არჩევნების შედეგების კრიტიკით, დასავლეთი ცდილობს საქართველოში არეულობის შემოტანას*

იაკობ იაკობაშვილი, ბოდბელი მთავარეპისკოპოსი, 3 ნოემბერი: „...ჩვენს არჩევნებზე რაღაც პრეტენზიები გაუჩნდათ შიგნით, თუ გარეთ. [...] ის ადამიანები გამოდიან, ევროპარლამენტარებზე ვსაუბრობ და საქართველოს წინააღმდეგ ხშირად იღებენ ხოლმე რაღაცას [რეზოლუციებს]. ცდილობენ საქართველოში არეულობა იყოს და მე არ მრცხვენია ამის თქმა. ფიქრობენ, რომ უკრაინას თუ გაუსწორდა რუსეთი, მერე ვიღაცის ჯერი ხომ უნდა დადგეს. ძალიან პატარა ქვეყნებია და არ უნდათ თავიანთ ქვეყნებს მიადგეს რუსეთი. თავიანთი გადასახედიდან სწორადაც იქცევიან იმიტომ, რომ თავიანთი ქვეყნის პატრიოტები არიან, ჩვენს ქვეყანას სასაკლაოზე ნუ გაუშვებთ.“

*მადლობა ხელისუფლებას, და ხალხს, რომელმაც უფლის გზა აირჩია*

თეოდორე ჭუაძე, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ქორეპისკოპოსი, 8 ნოემბერი: „დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სამშობლოს პირველ პირებს, რომლებიც ცდილობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ილია მართლის გზაზე ატარონ და დიდი მადლობა ჩვენს ხალხს, რომლებმაც ყველანაირ კეთილდღეობას, ყველანაირ სხვაგვარად დაფასებას ამჯობინა, რომ უფალთან იყოს და უფლის გზაზე იაროს...“

## მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის კრიტიკული გამოხმაურება არჩევნების სავარაუდო გაყალბებაზე

მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილმა გაავრცელა კრიტიკული განცხადებები საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო [მასობრივ გაყალბებასა](#) და შედეგებზე.

ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსი, საბა ინწკირველი, 28 ოქტომბერი: „თუ თავისუფალი არ არის გადაწყვეტილება, თუ ვინმე არჩევნებში ხმას აძლევს მოსყიდვით ან იმით, რომ ვიღაც სამსახურს ჰპირდება, ის ადამიანი არის ანგარი და ვერც სამშობლოს, ვერც ქვეყანას და ვერც ხალხს ვერ გამოადგება.“

რუის-ურბნისის ეპარქიის დეკანოზი გიორგი აბდუშელიშვილი, 27 ოქტომბერი: „ჩვენთვის ყველასთვის წარმოდგენილი იყო აი ეს გუშინ რაც გააკეთა აი ამ ცრუპენტელა ივანიშვილმა და ცრუპენტელა ხელისუფლებამ. ასეთი გაყალბებას ვერავინ ვერ წარმოვიდგენდით ნამდვილად, რომ აი ესეთი გაყალბება იქნებოდა.“

**მღვდელი ზაზა თევზაძე, 18 ნოემბერი:** „რაც „ოცნებამ“ გააკეთა, ეს არის მიტაცება საზოგადოების. ყველა ამ სუბიექტის არარაობად ჩაგდება. ეს არ ჯდება არაფერში. ჩვენ ხელში რაც არის დარჩენილი, არის ის, რომ არ შეიძლება ამის შეგუება და დაზავება. თუ ამას შეეგუება საზოგადოება, ჩვენ აღმოვჩნდებით მძიმე მდგომარეობაში [...] ჩვენ გვყავს მტერი, ძალიან დახელოვნებული ძლიერი ძალა, რუსეთის იმპერია, რომელსაც საპირწონე მსოფლიოში არ ჰყავს, რადგან მან იცის როგორ დაასუსტოს საზოგადოება. ეს არის ძალიან ვერაგი მტერი“.

## მართლმადიდებელი ეკლესიით სპეკულაცია პროპაგანდისტულ, სახელისუფლებო მედიაში

ხელისუფლების ანტიოპოზიციურ გზავნილებს და ეკლესიის თემით მანიპულირებას აძლიერებს მის მიერ კონტროლირებული პროპაგანდისტული მედია. მაგალითად, 17 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ, გადაცემა „იმედის კვირის“ წამყვანმა, [ირაკლი ჩიხლაძემ](#) ისაუბრა „ქართული ოცნებისთვის“ პატრიარქის მილოცვაზე, ამავდროულად ოპოზიცია ეკლესიის მტრებად, ხოლო მმართველი პარტია ეკლესიის დამცველად მოიხსენია.

„თითოეული გზავნილი ძალიან ყურადსაღებია და ვიმოქმედებთ შესაბამისად“, - თქვა ირაკლი კობახიძემ. [...] პატრიარქის წერილის მიმღებლობა რომ არ ექნებათ რადიკალებს ეს ცალსახაა - სამწუხაროდ, მთელი ეს წლებია ოპოზიციის ნაწილი მხოლოდ ეკლესიის და უწმინდესის დისკრედიტაციით არის დაკავებული.“

## ქსენოფობია ეთნიკური უმცირესობების მიმართ

არჩევნების დღეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შედეგების გამოცხადების შემდეგ და მომდევნო პერიოდში, ეთნიკური უმცირესობების მიმართ საჯარო დისკურსში გამოვლინდა ქსენოფობიური და დისკრიმინაციული განცხადებები, რაც ძირითადად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში „ქართული ოცნების“ ხმების რაოდენობრივ უპირატესობას უკავშირდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ცესკოს მონაცემების მიხედვით, „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ხმების მაღალი პროცენტული რაოდენობა დაფიქსირდა [სხვა ოლქებშიც](#), სადაც ძირითადად, ეთნიკური უმრავლესობა ცხოვრობს, სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ ტექსტებსა და კომენტარებში ავტორები ეთნიკურ აზერბაიჯანელებს და სომხებს განზოგადებულად ადანაშაულებდნენ არჩევნების გაყალბებასა და მიტაცებაში.

სოციალურ ქსელებში კომენტარების ავტორები ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაზე წერდნენ, რომ „სომხებმა და აზერბაიჯანელებმა გადაგვიწყვიტეს ჩვენი ქვეყნის მომავალი“.

ქსენოფობია წინასაარჩევნო პერიოდშიც გვხვდებოდა. სახელისუფლებო პროპაგანდისტული მედია და ხელისუფლებასთან დაკავშირებული „ხალხის ძალის“ წარმომადგენლები არმენოფობიას მიმართავდნენ და სხვა ეთნოსისთვის მიკუთვნებით პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციას ცდილობდნენ (*ამ თემაზე იხილეთ [TDI-ს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის ანგარიში, გვ. 26](#)*).